**საქართველო**
**თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია**

**GEORGIA**
**TETRITSKARO MUNICIPALITY CITY HALL**

წერილის ნომერი: **124-1242230841**
თარიღი: **04/11/2022**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს

თქვენი, 2022 წლის 14 ივლისის N5/39580 წერილის პასუხად, გიგზავნით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ოქტომბრის N37 განკარგულებას.

დანართი: 1 ფურცელი.

გიორგი წიკლაური

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 37

**28 ოქტომბერი, 2022 წელი**

**ქ. თეთრიწყარო**

**მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების, 84.06.34.048.603 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის, სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების შესახებ**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის საფუძველზე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 14 ივლისის N 5/3958014 და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 19 ოქტომბრის N 124-1242229236 წერილებიდან გამომდინარე

**მუხლი 1.**
მიტოვებული იქნეს სახელმწიფოს სასარგებლოდ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული, N 84.06.34.048.603 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 40625 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემდგომი განკარგვის მიზნით.

**მუხლი 2.**
დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ამ განკარგულების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის პროცედურების გატარება მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3.**
განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.**
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

TETRITSKARO MUNICIPALITY SAKREBULO * 230869254

TETRITSKARO Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY